186
1982
(85)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი — აგვისტო

1982 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1982 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

46. პუბლიცისტიკის დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველწლიური პრემიის დამტკიცებისა და ამასთან დაკავშირებით „ხუთწლედის მატიანის“ პრემიის საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

47. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო გაერთიანებათა შექმნის შესახებ.

48. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ეკონომიკის პროფილის ინსტიტუტად გარდაქმნისა და პედაგოგის სპეციალობებზე სტუდენტთა მიღების შეწყვეტის შესახებ.

49. რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოთა ფუნქციონირების ზოგიერთი საკითხის შესახებ.

50. „დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 24 აპრილის № 385 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

51. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნის ესკიზის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

52. საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშათა და მოსამსახურეთა მებაღეობის ამხანაგობის ტიპობრივ წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

53. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

54. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 სექტემბრის № 633 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ.

55. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

56. „სოფლის მეურნეობაში ტექნიკის გამოყენების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 7 აპრილის № 258 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე.

57. რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახალხო მეურნეობის სხვა ობიექტების გამგებლობიდან გზის ქსელებისა და მათი ზედა ნაგებობების საქართველოს სსრ გზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტისათვის გადაცემის შესახებ.

58. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარებისათვის გათვალისწინებულ თანამდებობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ.

17.360

46 პუბლიცისტიკის დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველწლიური პრემიის დამტკიცებისა და ამასთან დაკავშირებით „ხუთწლედის მატიანის“ პრემიის საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაარსდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველწლიური პრემია პუბლიცისტიკის დარგში რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების აქტუალურ პრობლემებზე პრესაში გამოქვეყნებული, ტელევიზიითა და რადიოთი გადაცემული მასალების ციკლის ან სერიებისათვის.

2. შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის სახელმწიფო პრემიების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 15 იანვრის № 80 დადგენილებაში ცვლილებანი და 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.დაარსდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შვიდი პრემია „ხუთწლედის მატიანე“ — თითო ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, თეატრის, კინოსა და ტელევიზიის, პუბლიცისტიკის, არქიტექტურის დარგებში, 2-2 ათასი მანეთის ოდენობით“.

3. შეტანილ იქნეს „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 26 აგვისტოს № 672 დადგენილებით დამტკიცებულ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიების „ხუთწლედის მატიანის“ დებულებაში შემდეგი ცვლილებანი:

ა) სათაურსა და 1-ლი პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვის „ხელოვნების“ შემდეგ დაისვას მძიმე და დაემატოს სიტყვა „პუბლიცისტიკის“;

ბ) 1-ლ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„თუ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ ლაურეატს ახალი მნიშვნელოვანი მიღწევები ექნება, ეს პრემია მას შეიძლება განმეორებით მიენიჭოს, მაგრამ შემდგომი მინიჭებისათვის წარდგენა შეიძლება წინა მინიჭებიდან არანაკლებ 5 წლის შემდეგ“;

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შვიდი პრემია „ხუთწლედის მატიანე“, თითო 2 ათასი მანეთის ოდენობით, მიენიჭება ყოველწლიურად თითო ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, თეატრის, კინოსა და ტელევიზიის, პუბლიცისტიკის, არქიტექტურის დარგში“. შემდეგ როგორც ტექსტშია;

დ) მე-6 პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლიტერატურის ნაწარმოებები შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ პრესაში დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, თეატრის, კინოსა და ტელევიზიის ნაწარმოებები — მას შემდეგ, რაც

ს. მარქსის სახ. ს.ბ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ფართოდ გაეცნობა საზოგადოებრიობა კონცერტებზე, გამოფენებზე, თეატრებში, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით, პუბლიცისტიკის ნაწარმოებები — მხოლოდ პრესაში დასრულებული სახით გამოქვეყნების, რადიოთი და ტელევიზიით გადაცემის შემდეგ, ხოლო არქიტექტურის ნაწარმოებები — მხოლოდ ობიექტების აგების დამთავრების შემდეგ";

ე) მე-12 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე აბზაცი:

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის" მოსაპოვებლად წარდგენილი ავტორთა კოლექტივი უნდა შედგებოდეს მხოლოდ ძირითად წამყვან პირთაგან, რომელთა შემოქმედებითი წვლილი ყველაზე თვალსაჩინო იყო. აღნიშნული კოლექტივის შეადგენლობაში პირთა შეყვანა მხოლოდ ადმინისტრაციული და ორგანიზატორული მუშაობის ნიშნით დაუშვებელია. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის" მოსაპოვებლად წარდგენილი ნაწარმოების ან ნაშრომის ავტორთა კოლექტივის შემადგენლობაში კანდიდატურების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 6 კაცს".

4. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის" ლაურეატის მედლის ესკიზის დამტკიცების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 5 იანვრის № 85 დადგენილებაში სიტყვის „ხელოვნების" შემდეგ დაისვას მძიმე და დაემატოს სიტყვა „პუბლიცისტიკის".

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის" ლაურეატის სამკერდე ნიშნის აღწერილობაში სათაურსა და პირველ აბზაცში სიტყვის „ხელოვნების" შემდეგ დაისვას მძიმე და დაემატოს სიტყვა „პუბლიცისტიკის".

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1982 წ., 13 ივლისი, № 521.

47 აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო გაერთიანებათა შექმნის შესახებ

„სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მართვის გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 433 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსის განყოფილებები) 5-7 კაცის შემადგენლობით აგროსამრეწველო გაერთიანებებში შემავალი ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულების მმართველობის აპარატის საერთო რიცხოვნობის ხარჯზე.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის 1982 წლის 24 მაისის № 433 დადგენილებით დაევალათ;

— სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების აგროსამრეწველო გაერთიანებათა ტიპობრივი დებულებების პროექტები;

— სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს — 3 თვის ვადაში შეიმუშაოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით და დაამტკიცოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოთა რიცხოვნობის ნორმატივები იმასთან დაკავშირებით, რომ მათ დაეკისრათ შესაბამის აგროსამრეწველო გაერთიანებათა სამუშაო აპარატის ფუნქციები.

5. დაევალოთ საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის რესპუბლიკურ საბჭოს (ამხ. ვარძელაშვილი) და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ამხ. მგელაძე) გაუწიონ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს პრაქტიკული დახმარება აგროსამრეწველო გაერთიანებათა ფორმირებისა და მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების საქმეში.

6. დაევალოთ საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რათა დააკომპლექტონ ახალშექმნილი აგროსამრეწველო გაერთიანებანი მაღალკვალიფიციური, სამეურნეო მუშაობაში შემოწმებული კადრებით, რომლებიც კარგად ფლობენ მართვის ძირითად პრინციპებს, იციან წარმოების ეკონომიკა და ორგანიზაცია და შესწევთ უნარი უზრუნველყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის არსებითი გაუმჯობესება.

ორგანიზაციული მუშაობა დამთავრდეს მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1982 წ., 13 ივლისი, № 523

1. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა და ორგანიზაციათა, სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის კოორდინაციის, რესურსების უფრო სრულად გამოყენების, პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის მოცულობის განუხრელი ზრდის, მისი ხარისხის ამაღლების, კომპლექსის დარგთა მაღალი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მათი ღონისძიებების მობილიზაციის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს შეიქმნას:

— აფხაზეთის ასსრ აგროსამრეწველო გაერთიანება;

— აჭარის ასსრ აგროსამრეწველო გაერთიანება;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო გაერთიანება.

აღნიშნულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა შემადგენლობებში შედიან აგროსამრეწველო კომპლექსის რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციები და მათი საქვეუწყებო საწარმოები.

2. რჩევა მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1982 წლის 1 აგვისტომდე შექმნან აგროსამრეწველო გაერთიანებათა მართვის უმაღლესი ორგანოები — საბჭოები აგროსამრეწველო კომპლექსის რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და სხვა თანამდებობის პირთა შემადგენლობით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

3. დაწესდეს, რომ:

— აფხაზეთის ასსრ აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე ამავე დროს არის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ინიშნება გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ;

— აჭარის ასსრ აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე ამავე დროს არის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ინიშნება გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯჰდომარე ამავე დროს არის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ინიშნება სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი;

— აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოების სამუშაო აპარატებს შესაბამისად წარმოადგენენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს აპარატები, რომლებშიც დამატებით იქმნება შტატის მუშაკთა შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები (აგროსამრეწველო

48 გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ეკონომიკის პროფილის ინსტიტუტად გარდაქმნისა და პედაგოგის სპეციალობებზე სტუდენტთა მიღების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 20 მაისის № პპ—10956 თანხმობით 1982/83 სასწავლო წლიდან შეწყდეს მიღება პედაგოგის სპეციალობებზე გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და განხორციელდეს სტუდენტთა მიღება „საბუღალტრო აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის“ სპეციალობით ამ სპეციალობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონტინგენტის მიღების ხარჯზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს:

— დაამთავროს გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროსი კურსების სტუდენტთა სწავლება პედაგოგის სპეციალობებზე, ხოლო „საბუღალტრო აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის“ სპეციალობაზე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში:

— განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი ქალაქ გორის ეკონომიკის პროფილის მომავალი ინსტიტუტის შესაბამისი პროფესორ-მასწავლებელთა კადრებით თანდათან დაკომპლექტებისა და გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გათავისუფლებულ მასწავლებელთა და თანამშრომელთა შრომითი მოწყობის ღონისძიებანი;

— გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევამდე საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სახსრებით ქალაქ გორში ააშენოს 500-ადგილიანი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი და 30-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ქალაქ გორში შესაქმნელი ეკონომიკის პროფილის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის.

3. „საბუღალტრო აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის“ სპეციალობით „1982/83 სასწავლო წელს საქართველოს სსრ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 5 აპრილის № 240 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების გამო სწავლების საღამოს ფორმის ნაცვლად (50 კაცი) განხორციელდეს მიღება სწავლების დაუსწრებელი ფორმით და დამტკიცდეს ამ ფორმით სწავლების მიღების კონტინგენტი 75 კაცის ოდენობით.

4. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დახურვისა და მის ბაზაზე ეკონომიკის პროფილის ინსტიტუტის შექმნის საკითხი გადაწყდეს 1984—85 სასწავლო წელს.

5. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს (ამხ. ქინქლაძე) თანხმობა იმაზე, რომ 1983-84 სასწავლო წელს ქალაქ გორში შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნება გორის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, რომელიც დაკომპლექტდება ინსტიტუტის მომავალ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში განთავისუფლებულ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობით.

6. შეწყდეს 1982/83 სასწავლო წელს მიღება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გორის საღამოს სწავლების ფაკულტეტზე და ამ ფაკულტეტის განთავისუფლებული შენობა გადაეცეს გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელთა მიზანია ქალაქ გორში ეკონომიკის პროფილის ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის შემუშავებისას გაითვალისწინონ რესპუბლიკის უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტის შემცირება გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუდენტთა მიღების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1982 წ., 30 ივლისი, № 535

49 რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოთა ფუნქციონირების ზოგიერთი საკითხის შესახებ

„სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მართვის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის დადგენილების და „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის შემადგენლობისა და მისი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 10 ივნისის დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის რესპუბლიკური საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩაითვალოს დაეკისროს აღნიშნულ საბჭოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით შექმნილი სოფლის მეურნეობის ოპერატიული ხელმძღვანელობის ქვეკომისიის ფუნქციები.

დაწესდეს, რომ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის ოპერატიული ხელმძღვანელობის ქვეკომისიის წევრები არიან, საჭიროების კვალობაზე საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის რესპუბლიკური საბჭო მიიზიდავს მიმდინარე და ოპერატიული საკითხების მოსამზადებლად და გადასაწყვეტად.

დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ო. გ. ვარძელაშვილს პასუხისმგებლობა ოპერატიულად გადასაწყვეტი მიმდინარე საკითხების ჯეროვნად მომზადებისა და დროულად განხილვის უზრუნველყოფისათვის, და ამასთან დაკავშირებით განთავისუფლდეს იგი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის 10 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის თავმჯდომარის მოვალეობანი დაეკისროს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განყოფილების გამგეს ამხ. გ. ს. მამაცაშვილს.

2. შეყვანილ იქნენ საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობაში საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. ი. კაჭარავა, საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ლ. ს. თოფურია და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ფ. ს. დუღაშვილი.

3. აგროსამრეწველო კომპლექსის, როგორც დამოუკიდებელი ობიექტის, მართვისა და დაგეგმვის აუცილებლობის გათვალისწინებით დაწესდეს, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა ფონდებისაგან ფორმირებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების რეზერვების ნაწილი გამოიყოფა ცალკე, განაწილდება დადგენილი წესით, მაგრამ გამოიყენება მხოლოდ დანიშნულებისამებრ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლბინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 5 აგვისტო, № 581

ეროვნული ბიბლიოთეკა

50 „დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 24 აპრილის № 305 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს რომ „სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 აპრილის № 304 დადგენილებით ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) და სოფლად საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) უფასო მგზავრობის უფლება სამამულო ომის ინვალიდებს ეძლევათ ინვალიდობის ჯგუფისა და მიღებული პენსიის სახეობის (ინვალიდობის, მოხუცებულობის გამო, წელთა ნამსახურობისათვის) მიუხედავად.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

„დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 24 აპრილის № 305 დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება შეჩერდეს 1982 წლის 1 აგვისტოდან განსაკუთრებულ მითითებამდე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლბინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

თბილისი, 1982 წ. 19 აგვისტო, № 586

51 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნის ესკიზის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნის თანდართული აღწერილობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლბინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1982 წ., 19 აგვისტო, № 588

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს № 588 დადგენილებით

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშანს, რომელიც დამზადებულია თითბრის ნაგლინისაგან (ტომპაკი), აქვს 23 მილიმეტრი დიამეტრის სწორი წრის ფორმა მთლიანდაშტამპული ყუნწით.

ნიშნის წინა მხარეზეა ვ. მაიაკოვსკის პროფილის რელიეფური გამოსახულება.

ნიშნის უკანა მხარეს არის ამობურცული წარწერა ქართულ და რუსულ ენებზე: „ვ. მაიაკოვსკის პრემიის ლაურეატი“ — „Лауреат премии В. Маяковского“.

ნიშანი ტანსაცმელზე მიებნევა 23 მილიმეტრი სიგანისა და 13 მილიმეტრი სიმაღლის სწორკუთხა ფორმის ორგან გაჭრილი ფირფიტით. ფირფიტას შემოხვეული აქვს მოცისფრო მუარის ლენტი; ლენტის სიგანეა 7 მილიმეტრი. ფირფიტას უკანა მხარეზე აქვს ქინძისთავი. შემაერთებელი რგოლით ფირფიტა მაგრდება მედლის ყუნწზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

52 საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშათა და მოსამსახურეთა მებაღეობის ამხანაგობის ტიპობრივ წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 20 მარტის № 171 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშათა და მოსამსახურეთა მებაღეობის ამხანაგობის ტიპობრივ წესდებაში ცვლილებანი და დამატებანი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. მე-4 პუნქტი:

„4. მებაღეობის ამხანაგობა მუშაობს იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელთანაც შექმნილია ამხანაგობა, და იმ რაიონის (ქალაქის) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომისა და პროფკავშირის შესაბამისი დარგობრივი კომიტეტის ხელმძღვანელობითა და კონტროლით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მოცემული საწარმო, აგრეთვე კოლექტიური მებაღეობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის და პროფკავშირთა შესაბამისი საოლქო (რესპუბლიკური) საბჭოს კონტროლით.

სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაციასა და პროფკავშირის კომიტეტს უფლება აქვთ ერთობლივი გადაწყვეტილებით გააუქმონ ამხანაგობის გამგეობისა და საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას, ნორმატიულ აქტებსა და ტიპობრივ წესდებას.

იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში, რომელთანაც შექმნილი იყო მებაღეობის ამხანაგობა, ხელმძღვანელობასა და კონტროლს ამხანაგობის საქმიანობისადმი განახორციელებენ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი და პროფკავშირთა შესაბამისი დარგობრივი კომიტეტი და პროფკავშირთა საოლქო (რესპუბლიკური) საბჭო“.

2. მე-10 პუნქტი:

„10. მებაღეობის ამხანაგობის წევრებს ნება ეძლევათ იყოლიონ ამხანაგობის წესდებით განსაზღვრული პირობებით დათქმული რაოდენობის ფრინველი, ბოცვერი, ფუტკარი და ნუტრია, მაგრამ არა უმეტეს 20 ფრთა ფრინველი, 20 ბოცვერი მოზარდეულთან ერთად, 10 ფუტკრის ოჯახი და 5 დედა ნუტრია ნამატით, იმ ვარაუდით, რომ აუცილებლად დაიცვან ყველა ვეტერინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ-სანიტარიული წესი და ხელი არ შეუშალონ ნორმალურ დასვენებას მეზობელ საბაღე ნაკვეთებზე“.

3. მე-15 პუნქტი:

„15. მებაღეობის ამხანაგობებისათვის ორგანიზაციული და აგროტექნიკური დახმარების გაწევის და მათი მიზანდასახული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი), რომელიც ახორციელებს თავის საქმიანობას დადგენილი წესით დამტკიცებული დებულების თანახმად“.

4. მე-16 პუნქტი:

„16. მებაღეობის ამხანაგობის წევრები შეიძლება იყვნენ 18 წლის ასაკს მიღწეული მუშები და მოსამსახურეები, ის პენსიონერები, რომლებიც ადრე მუშაობდნენ მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, აგრეთვე ამხანაგობის ცალკეულ წევრთა გასვლის შემდეგ დადგენილი წესით მიღებული პირები.

ამხანაგობის წევრად მიღებისას უპირატესობა მიეცემათ დიდი სამამულო ომის მონაწილეებსა და შრომის ვეტერანებს, მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი, აგრეთვე ამ ამხანაგობის გარდაცვლილი წევრის ერთ-ერთ მემკვიდრეს.

დიდი სამამულო ომის და სსრ კავშირის დასაცავად სხვა საბრძოლო ოპერაციათა მონაწილე არმომუშავეებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც მსახურობდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში შემავალ სამხედრო ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში, პარტიზანებს, აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანებს — არმომუშავე პენსიონერებს ოფიცერთა შემადგენლობის პირთა რიცხვიდან, რომლებმაც უმწიკვლოდ იმსახურეს სამხედრო სამსახურში არანაკლებ 25 კალენდარული წელი და დათხოვნილი არიან ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან ასაკის, ავადმყოფობის, შტატების შემცირების ან ჯანმრთელობის შეზღუდული მდგომარეობის გამო, უფლება აქვთ შევიდნენ დადგენილი წესით ორგანიზებულ მებაღეობის ამხანაგობებში (კოოპერატივებში), მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა.

ზემოაღნიშნულ პირთა მიღება მებაღეობის ამხანაგობის წევრებად ხდება სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების წარდგენით მებაღეობის ამხანაგობის წევრთა რაოდენობის 10 პროცენტის ფარგლებში.

პენსიაზე გასული მუშები და მოსამსახურეები იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში, სადაც ისინი ადრე მუშაობდნენ, მებაღეობის ამხანაგობის წევრად მიღების საკითხებზე მიმართავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი გამოუყოფენ მუშებს, მოსამსახურეებს, პენსიონერებს სარგებლობისათვის დაწესებული ფართობის მიწის ნაკვეთებს ერთობლივი გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტილებით, რომელიც ამავე დროს არის გადაწყვეტილება ამხანაგობის წევრებად მათი მიღების შესახებ. მებაღეობის ამხანაგობის გამგეობა ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გააფორმებს ამხანაგობის წევრად მიღებას (მებაღეთა სიაში შეტანა, მებაღის საწევრო წიგნაკის გაცემა და ა. შ.).

მებაღეობის ამხანაგობის წევრებად არ შეიძლება იყვნენ:

— პირები, რომლებიც სარგებლობენ საკარმიდამო ნაკვეთებითა და აგარაკებით პირადი საკუთრების უფლებით ან არიან სააგარაკო-სამშენებლო კოოპერატივში;

— იმ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების წევრები, რომლებიც არიან მებაღეობის ამხანაგობის წევრები".

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს ტიპობრივი წესდების 23-ე პუნქტი.

5. 24-ე პუნქტი:

„24. ამხანაგობიდან გასულ ან გარიცხულ წევრთა ნაცვლად ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის გადაწყვეტილებით ამხანაგობის წევრებად მიიღებიან იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშები და მოსამსახურეები, რომელთანაც შექმნილია ამხანაგობა. განთავისუფლებული საბაღე ნაკვეთების მიღების უპირატესი უფლება აქვთ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი, და დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, როგორც მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მომუშავეებს, ისევე მოცემული საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან პენსიაზე გადასულებს.

თუ არ არიან ამხანაგობის წევრთა შემადგენლობაში შესვლის მსურველნი, დასაშვებია ამხანაგობაში სხვა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშათა და მოსამსახურეთა მიღება მათი ადმინისტრაციისა და პროფკავშირთა ადგილობრივი კომიტეტების შუამდგომლობის საფუძველზე იმ ქალაქის (რაიონის) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის რეკომენდაციით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა.

აღნიშნულ შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომი უპირატესობას მისცემს შესაბამისი ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებს და ორგანიზაციებში მომუშავე მუშებსა და მოსამსახურეებს".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1982 წ., 2 ივლისი, № 485

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

53 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1982 წ. 19 ივლისი, № 513.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 19 ივლისის № 513 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს შესახებ

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველო არის სახელმწიფო მმართველობის საოლქო ორგანო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, ისევე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველო ახორციელებს ავტონომიურ ოლქში საარქივო საქმის დარგობრივ და სადარგთაშორისო მართვას, განაგებს სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტებს, რომლებიც დაცულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო და საუწყებო არქივებში, და პასუხისმგებელია სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საარქივო საქმის მდგომარეობის, შემდგომი განვითარების, სრულყოფისა და ამ დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის.

„ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ 1977 წლის 29 დეკემბრის კანონის მე-7 მუხლის შესაბამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არის დოკუმენტურ ძეგლთა დაცვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

2. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს მთავარი ამოცანებია:

ა) სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო არქივების დაკომპლექტების ორგანიზაცია და მათში დაცული დოკუმენტების გამოყენება სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დებულების შესაბამისად;

ბ) სახელმწიფო მართვა ისტორიისა და კულტურის დოკუმენტურ ძეგლთა დაცვისა და გამოყენების დარგში;

გ) არქივთმცოდნეობის, დოკუმენტმცოდნეობის, არქეოგრაფიის დარგში სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია და კოორდინაცია;

დ) მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგებისა და მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვა ავტონომიური ოლქის საარქივო დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში;

ე) ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა საუწყებო არქივების საქმიანობისა და დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციისადმი;

ვ) საარქივო საქმის დარგში მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების გავრცელება, საარქივო საქმის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის წინადადებათა შემუშავება.

3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველო ხელმძღვანელობს საარქივო საქმეს ავტონომიურ ოლქში და მართავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივს და სახელმწიფო რაიონულ არქივებს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველო და მისი საქვეუწყებო სახელმწიფო არქივები სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო სამსახურის შემადგენელი ნაწილია და შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს ერთიან სისტემაში.

4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დებულებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს ბრძანებებითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

17360

ინსტრუქციებით, სხვა ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას ავტონომიური ოლქის საარქივო დაწესებულებებში.

5. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) აორგანიზებს სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების დაკომპლექტებასა და შენახვას, უზრუნველყოფს სახელმწიფო არქივებში, აგრეთვე მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში დოკუმენტების გადაცემის დადგენილი წესის დაცვას;

ბ) წყვეტს საოლქო, საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების საარქივო ფონდების შემადგენლობისადმი დოკუმენტების მიკუთვნების საკითხებს და ახორციელებს ღონისძიებებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივში საოლქო და საქალაქო დაქვემდებარების ფონდების კონცენტრაციისათვის;

გ) აწარმოებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო და საუწყებო არქივებში დაცული სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული ისტორიისა და კულტურის დოკუმენტური ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვას და წარუდგენს ცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოს; ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს აღნიშნული დოკუმენტების დაცვისა და გამოყენებისადმი;

დ) შეიმუშავებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიულ დოკუმენტებს საარქივო დაწესებულებათა საქმიანობის საკითხებზე, აორგანიზებს და ახორციელებს მუშაობას სახელმწიფო არქივების ქსელისა და მათი სტრუქტურის სრულყოფისათვის;

ე) აორგანიზებს არქივების მუშაობის პრაქტიკაში დოკუმენტების შენახვის, რესტავრაციის, კონსერვაციის, გამოყენებისა და დაცვის ყველაზე რაციონალური სისტემებისა და მეთოდების დანერგვას; განსაზღვრავს ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივების მოთხოვნილებას მოწყობილობასა და მასალებზე;

ვ) ახორციელებს ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას საუწყებო არქივების მუშაობისა და დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციისადმი; ავტონომიური ოლქის დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ერთად ახორციელებს საუწყებო არქივების მუშაობის სრულყოფის ღონისძიებებს, აგრეთვე ატარებს ასეთი არქივების მუშაობაში საქმისწარმოების მდგომარეობის საზოგადოებრივ დათვალიერებებს; აორგანიზებს სახელშეკრულებო საწყისებზე უწყებათა (დაწესებულებათა) არქივებისადმი დახმარებას დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, მოწესრიგებისა და გამოყენების სამუშაოთა შესრულებაში, აგრეთვე დოკუმენტების ასლების სადაზღვევო ფონდის შექმნაში;

ქ. მარქსის სახ. სკ. სსრ

ზ) უზრუნველყოფს სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სისტემის შექმნასა და განვითარებას, სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების მიხედვით ინფორმაციის ძიების მექანიზებულ და ავტომატიზებულ სისტემათა დანერგვას;

თ) დადგენილი წესით აქვეყნებს სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტებს, საცნობარო-საინფორმაციო ლიტერატურას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივებში დაცული სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების შემადგენლობისა და შინაარსის შესახებ; ხელმძღვანელობას უწევს ავტონომიური ოლქის საარქივო დაწესებულებათა საქმიანობას საარქივო მასალების გამოქვეყნებაში;

ი) აორგანიზებს ინფორმაციას სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების შესახებ აქტუალურ თემატიკაზე პოლიტიკური, სახალხო-სამეურნეო, სამეცნიერო და სოციალურ-კულტურული მიზნებისათვის გამოსაყენებლად, კოორდინაციას უწევს მუშაობას რეტროსპექტულ დოკუმენტურ ინფორმაციაზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა და დოკუმენტების გამოყენების ეფექტიანობის შესასწავლად;

კ) ხელმძღვანელობს ავტონომიური ოლქის საარქივო დაწესებულებათა სამეცნიერო-კვლევით და მეთოდურ მუშაობას; შეიმუშავებს ღონისძიებებს საარქივო საქმის პრაქტიკაში მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგების დანერგვისათვის; ახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხებზე;

ლ) აორგანიზებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ერთად საქმისწარმოების ერთიანი სახელმწიფო სისტემისა და საორგანიზაციო-საგანმკარგულებლო დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემის დანერგვას; ახორციელებს სამეცნიერო-მეთოდურ ხელმძღვანელობას მათი გამოყენებისადმი;

მ) ამოწმებს საუწყებო არქივების მუშაობას და დოკუმენტების ორგანიზაციას ავტონომიური ოლქის დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმისწარმოებაში;

ნ) აორგანიზებს დოკუმენტების მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის ექსპერტიზას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივებში მათი მუდმივ შესანახად შერჩევის მიზნით;

ო) დადგენილი წესით გამოავლენს და მიიღებს სსრ კავშირის სახელმწიფო არქივებისაგან სამხრეთ ოსეთის ისტორიაზე საარქივო დოკუმენტების დედნებს ან ასლებს;

პ) მისცემს დადგენილი წესით დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს სპეციალურ ნებართვას ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დოკუმენტური ძეგლების შესაკრებად;

ჟ) შეიმუშავებს პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს ავტონომიურ ოლქში საარქივო საქმის განვითარების საკითხებზე და უზრუნველყოფს ამ გეგმების შესრულებას;

რ) შეიმუშავებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საარქივო დაწესებულებებში შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებს; ახორციელებს სამმართველოს აპარატისა და საქვეუწყებო დაწესებულებათა სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებებს;

ს) ამტკიცებს საქვეუწყებო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებს, დადგენილი წესით ახორციელებს საარქივო დაწესებულებათა დაფინანსებასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, უზრუნველყოფს მათი შენახვისათვის გამოყოფილი სახსრების რაც შეიძლება სწორად და ეფექტიანად გამოყენებას, აკონტროლებს მათს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას;

ტ) წყვეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში კაპიტალური მშენებლობის საკითხებს;

უ) შეისწავლის, განაზოგადებს და გაავრცელებს სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების არქივების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას, მოიწვევს დადგენილი წესით სამეცნიერო საბჭოს სხდომებს, თათბირებს, სემინარებს, აწყობს და ატარებს გამოფენებს საარქივო საქმისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის საკითხებზე;

ფ) ახორციელებს აპარატისა და საქვეუწყებო დაწესებულებათა კადრების შერჩევასა და განაწილებას;

ქ) აორგანიზებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო და საუწყებო არქივების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

ღ) აორგანიზებს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად და ყურადღებით განხილვას, ამასთან ცდილობს მიაღწიოს მათში აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტას; იღებს ზომებს საქვეუწყებო დაწესებულებათა საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად და მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად უფლება ენიჭება:

ა) მიიღოს დაწესებულებებისაგან, ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან აუცილებელი მასალები საუწყებო არქივების მუშაობისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის შესახებ;

ბ) მოისმინოს დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების წარმომადგენელთა ინფორმაციები საუწყებო არქივების მუშაობისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის საკითხებზე;

გ) მისცეს დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი საუწყებო არქივების მუშაობაში და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს თანამდებობის პირებს თავიანთ მოვალეობათა შესასრულებლად უფლება აქვთ დადგენილი წესით ნახონ დაწესებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა არქივები და საქმისწარმოების საკუთარ-
რები.

7. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი.

საარქივო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელ'ს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოსთან შეთანხმებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი და შემდგომ ამტკიცებს მორიგი სესია.

საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილეს ნიშნავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღამსკომი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოსთან შეთანხმებით.

8. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს უფროსი:

ა) პერსონალურად აგებს პასუხს საარქივო სამმართველოსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, აწესებს უფროსის მოადგილის და სამმართველოს სხვა თანამშრომელთა პასუხისმგებლობას საარქივო სამმართველოს საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე ავტონომიური ოლქის საარქივო დაწესებულებათა მუშაობისათვის;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და 'მისი პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირ' მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოსა და ' ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს საგანმკარგულებლო დოკუმენტების საფუძველზე და შესასრულებლად, იძლევა ავტონომიური ოლქის საარქივო დაწესებულებათა მიერ შესრულებისათვის სავალდებულო მითითებებს, ამოწმებს მათს შესრულებას;

გ) აუქმებს ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ იმ ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

9. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოსთან მოქმედებენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სამეცნიერო საბჭო ავტონომიურ ოლქში საარქივო საქმის მეცნიერული საკითხების განსახილველად;

ბ) მეთოდსაბჭო მეთოდიკური ხასიათის საკითხების განსახილველად;

გ) საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის შემადგენლობის განსაზღვრასთან, დოკუმენტების მნიშვნელობის ექსპერტიზასთან და სახელმწიფო შენახვისათვის მათ შერჩევასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

აღნიშნული საბჭოებისა და კომისიის დებულებებსა და შემადგენლობას ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს უფროსი.

10. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს აპარატის სტრუქტურასა და რიცხოვნობას ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოსთან შეთანხმებით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპატატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს აპარატის საშტატო განრიგსა და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს უფროსი.

11. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

54 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 სექტემბრის № 633 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

შემოწმებით გამოირკვა, რომ კასპის რაიონის ქვათახევის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მიწებიდან 1980 წელს ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სამი ორგანიზაციისათვის გამოყოფილი 24 ჰექტარი მიწის ფართობი არ აღმოჩნდა საკმარისი მებაღეობის ამხანაგობათა ყველა წევრის დასაკმაყოფილებლად. ხევ-ხრამების გამოკლების შედეგად თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს დადგენილებით გამოყოფილი 10,3 ჰექტარის (154 ოჯახზე) ნაცვლად ფაქტიურად მიეცა 2,6 ჰექტარი მიწა, რის გამოც მებაღეობის ამხანაგობის წევრებმა უარი განაცხადეს გამოყოფილი ფართობის ათვისებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) წინადადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 სექტემბრის № 633 დადგენილების მე-2 პუნქტიდან ამოირიცხოს წინადადება: „ამ ინსტიტუტისათვის მიწის გამოყოფის საკითხი არ იქნეს განხილული მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება ყველა ორგანიზაცია“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ., 19 ივლისი, № 515

55 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 6 აგვისტო, № 551.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 6 აგვისტოს № 551 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების შესახებ

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას ქმნის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად და თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც საოლქო საბჭოსა და აღმასკომს, ისე საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება ხელმძღვანელობს ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ფინანსების ორგანიზაციას, სამხრეთ ოსეთის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებათა მუშაობას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება ადგენს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტს და ეკისრება პასუხისმგებლობა ავტონომიური ოლქის როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში ბიუჯეტის შესრულებისათვის, აგრეთვე საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საფინანსო რესურსების მობილიზაციის სამუშაოთა ორგანიზაციისა და ფულადი სახსრების იმ ღონისძიებათა უზრუნველყოფისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ადგილობრივი მეურნეობის განვითარების გეგმით და სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც ფინანსდება ავტონომიური ოლქის ბიუჯეტით.

2. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) უზრუნველყოს ფინანსების აქტიური გამოყენება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, სახალხო მეურნობაში სოციალისტური დოვლათის გადიდებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის მიზნით;

ბ) მობილიზაცია გაუწიოს ფულად სახსრებს, გადაგზავნოს ისინი დამტკიცებული გეგმების შესაბამისად და დააფინანსოს ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მეურნეობის განვითარების, მოსახლეობის მატერიალური და სოციალურ-კულტურული დონის შემდგომი ამაღლების ღონისძიებანი;

გ) ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ეკონომიკურად დასაბუთებული დაგეგმვა, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში გათვალისწინებული მთელი შემოსავლის დროული და სრული შემოსავლის უზრუნველყოფის, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ეკონომიური ხარჯვის და მიზნობრივი დანიშნულებით მათი გამოყენების ღონისძიებათა განხორციელება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) დაუწესოს კონტროლი სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის დაცვაზე, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ სახელმწიფოს წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა შესრულებას;

ე) დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს ავტონომიური ოლქის საფინანსო ორგანოები კვალიფიციური კადრებით, შექმნას მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების უკეთესად გამოყენების პირობები, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზდა სპეციალისტები, რომლებიც თავს გამოიჩენენ.

3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მითითებებითა და სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ბრძანებებით, ინსტრუქციებით, მითითებებით, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებებში.

4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება მისდამი დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად:

ა) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მითითებათა შესაბამისად ახორციელებს მეთოდურ ხელმძღვანელობასაც ავტონომიური ოლქის საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვისა და ადგილობრივი მეურნეობის დაფინანსების დარგში, რათა გამოავლინოს და მობილიზაცია უყოს მატერიალურ და ფულად რეზერვებს, უზრუნველყოს მომჭირნეობის რეჟიმი და სამეურნეო ანგარიშგების განმტკიცება;

ბ) აორგანიზებს მომავალი წლისათვის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტის შედგენის მუშაობას იმ წესით, რომელიც დადგენილია ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ, ადგენს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს;

გ) შეაქვს ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში წინადადებანი საოლქო ბიუჯეტსა და რაიონებისა და ქალაქის ბიუჯეტს შორის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის შესახებ, ახორციელებს ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქის, სოფლისა და სადაბო ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის განმტკიცების ღონისძიებებს;

დ) უზრუნველყოფს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესრულებას, ადგენს საოლქო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ნუსხას, რომელიც დამტკიცებულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასრულებს ბიუჯეტს და უზრუნველყოფს ავტონომიურ ოლქში რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) შემოსავლის მიღებას ახორციელებს ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა გათვალისწინებული შემოსავლის შესვლა ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში, რათა ზუსტად და მომჭირნედ დაიხარჯოს საბიუჯეტო სახსრები. მიზნობრივი დანიშნულებით და დადგენილი წესით საწარმოო და საფინანსო გეგმების შესრულების მიხედვით ახორციელებს საოლქო ბიუჯეტის ურთიერთანგარიშსწორებას რესპუბლიკურ (საქართველოს სსრ) ბიუჯეტთან, რაიონებისა და ქალაქის ბიუჯეტებთან და შეაქვს ცვლილებები ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ბალანსებისა და ხარჯების (საფინანსო გეგმების) მართვისა და განყოფილებების ხარჯთაღრიცხვის ცალკეულ მუხლებში;

ე) ახორციელებს კონტროლს იმისათვის, რომ ზუსტად და განუხრელად ასრულებდნენ ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სამმართველოები და განყოფილებანი, საბიუჯეტო დაწესებულებანი, სამეურნეო ორგანიზაციები და საწარმოები;

ვ) იხილავს და ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სამმართველოებისა და განყოფილებების განკარგულებაში არსებული სპეციალური სახსრების ხარჯთაღრიცხვას, აგრეთვე საოლქო ბიუჯეტზე მყოფი მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებების სპეციალური სახსრების კრებსით ხარჯთაღრიცხვას;

ზ) დადგენილ ვადაში უზრუნველყოფს საბიუჯეტო დაწესებულებების ხარჯების ხარჯთაღრიცხვისა და ცენტრალიზებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის შედგენასა და დამტკიცების სისწორის შემოწმებას, აგრეთვე კონტროლს უწევს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტზე მყოფი სოციალურ-კულტურული დაწესებულებების მუშაკთა ტარიფიკაციის სისწორეს;

თ) ახორციელებს ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქის ბიუჯეტების შესრულების ღონისძიებებს შემოსავლის ყველა წყაროს მიხედვით;

ი) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სამმართველოებისა და განყოფილებების შუამდგომლობით საჭიროების შემთხვევაში უდიდებს საბიუჯეტო ასიგნებას კვარტალისათვის აღნიშნულ სამმართველოსა და განყოფილებას მომდევნო კვარტალისათვის ამავე მიზნით გათვალისწინებულ ასიგნებათა ხარჯზე;

კ) აღრიცხავს საოლქო ბიუჯეტის შესრულებას, იხილავს ანგარიშებს ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქის ბიუჯეტის შესრულების შესახებ და ამ საკითხებზე წინადადებები შეაქვს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში;

ლ) აგზავნის ანგარიშს განვლილ პერიოდში ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესრულების შესახებ და წარუდგენს მას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს;

მ) ორგანიზაციას უწევს მუშაობას დაწესებულებებისაგან, საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისა და მოსახლეობისაგან სახელმწიფო და ადგილობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახადებისა და ბეგარის, სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახდელების, ბრუნვის გადასახადის გამოანგარიშებისა და დარიცხვისათვის;

ნ) ახორციელებს კონტროლს რამდენად სწორად და მომჭირნედ იხარჯება სახსრები მართვის აპარატის შესანახად და იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ამ მიზნისათვის გამოყოფილ ასიგნებათა გადახარჯვა, ამუშავებს დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მართვის აპარატის სრულყოფისა და გაიაფების წინადადებებს, ახორციელებს კონტროლს, რომ დაიცვან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესი შტატების დამტკიცების შესახებ და მართვის აპარატის შესანახი ხარჯების ხარჯთაღრიცხვა, აგრეთვე ხელფასის სარგოებისა და განაკვეთების ოდენობა;

ო) ახორციელებს კონტროლს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის დაცვისადმი, იმისადმი, რომ სწორად და მომჭირნედ ხარჯონ მათ საბიუჯეტო და საკუთარი სახსრები, ამოწმებს რამდენად სწორად და დროულად გააცნეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სამმართველოებმა და განყოფილებებმა მათს საქვეუწყებო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ბიუჯეტის შემოსავლისა და ბიუჯეტიდან დაფინანსების გეგმები;

პ) პერიოდულად ამოწმებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სამმართველოებსა და განყოფილებებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობას და აძლევს მათ საჭირო რეკომენდაციებს საფინანსო კონტროლის გაუმჯობესებისათვის;

ჟ) ახორციელებს კონტროლს იმისადმი, თუ როგორ იცავენ ავტონომიური ოლქის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს კანონმდებლობას სახელმწიფო დაზღვევის შესახებ, ყველა სახეობის დაზღვევის წესებსა და ინსტრუქციებს, როგორ სრულდება სადაზღვევო გადასახადების, სადაზღვევო ანაზღაურებისა და სადაზღვევო თანხების გეგმები, წარუდგენს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს წინადადებებს დაზღვეული ქონების დაღუპვისა და დაზიანების თავიდან აცილების ღონისძიებებისათვის შემოსული სადაზღვევო თანხებიდან გადარიცხული სახსრების ხარჯვის წესის შესახებ;

რ) ახორციელებს კადრების შერჩევასა და განაწილებას, ავლენს მათზე მოთხოვნილებას და უზრუნველყოფს ავტონომიური ოლქის საფინანსო ორგანოებს კვალიფიციური კადრებით; დადგენილი წესით ახდენს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ეწევა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით კადრების აღზრდას;

ს) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე უზრუნველყოფს მოქალაქეთა წერილების, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულ და ყურადღებიან განხილვას, აგრეთვე ახორციელებს ავტონომიური ოლქის საფინანსო ორგანოების საქმიანობაში იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებსაც მოქალაქენი იუწყებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას უფლება აქვს:

ა) მიიღოს დაწესებულებებისაგან, საწარმოების, ორგანიზაციებისაგან ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტის შედგენისათვის და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესრულებისათვის საჭირო მასალები, საბუღალტრო ანგარიშები და ბალანსები, აგრეთვე სხვა მასალები და საანგარიშსწორებო მონაცემები, რომლებიც საჭიროა საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვისათვის, დაფინანსებისათვის, კონტროლი დაუწესოს იმას, თუ როგორ ასრულებენ დაწესებულებანი, საწარმოები და ორგანიზაციები სახელმწიფოს წინაშე საფინანსო ვალდებულებებს და როგორ იცავენ სახელმწიფო დისციპლინას, აგრეთვე საფინანსო განყოფილებაზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულებისადმი, მიიღოს საკრედიტო დაწესებულებებისაგან მათი წესდებების შესაბამისად ცნობები დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ოპერაციებისა და ანგარიშის შესახებ;

ბ) მოაწყოს, ხოლო საჭირო შემთხვევაში შეაჩეროს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტიდან დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დაფინანსება მათ მიერ ამ სახსრების უკანონო ხარჯვის ფაქტების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ ისინი არ წარმოუდგენენ ანგარიშს ადრე გამოყოფილი სახსრების ხარჯვის შესახებ და სხვა დადგენილ ანგარიშგებას ამის შესახებ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის შესაბამისი სამმართველოებისა და განყოფილების ხელმძღვანელთა შეტყობინებით;

გ) მოაწყოს დადგენილი წესით გადამხდელებისაგან დროზე გადაუხდელი გადასახადების გადახდევინება და არასაგადასახადო შესატანების შეტანა ბიუჯეტში, ხოლო კოლმეურნეობებისაგან კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში გადარიცხვები;

დ) დადგენილი წესით განახორციელოს ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების საფინანსო საქმიანობის რევიზიები და შემოწმება, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიები და შემოწმებები; დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების პირველადი დოკუმენტებით მოახდინოს ბიუჯეტში შესატანებისა და ბიუჯეტიდან სახსრების მიღების ანგარიშსწორების სისწორე; მოითხოვოს რევიზიებისა და შემოწმების დროს არსებული ფულადი თანხის, ფასიანი ქაღალდების, საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრირების, ანგარიშების, ხარჯთაღრიცხვებისა და გეგმების წარმოდგენა; მიიღოს სხვა დაწესებულებებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან საჭირო ცნობები, მისცეს შესამოწმებელი დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მათთვის საჭირო მითითებანი საფინანსო დისციპლინის გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად;

ე) განახორციელოს კონტროლი იმისადმი, რომ დროულად და სწორად იხილავდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სამმართველოებსა და განყოფილებებში დაწესებულებების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოებისა და ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებში შეიტანოს წინადადებანი ანგარიშებსა და ბალანსებში საჭირო შესწორებების შესახებ, აგრეთვე შეამოწმოს, რა ღონისძიებანი განხორციელდა ამ წინადადებათა შესასრულებლად;

ვ) საჭიროების შემთხვევაში საოლქო ბიუჯეტიდან გასცეს სესხი ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქის ბიუჯეტებში სალაროების დროებითი გარღვევის დასაფარავად იმ ვარაუდით, რომ ეს სესხი დაიფაროს მიმდინარე წლის ფარგლებში.

6. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების გამგე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მორიგ სესიაზე შემდგომი დამტკიცებით.

7. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში იქმნება კოლეგია განყოფილების გამგის (თავმჯდომარე) და თანამდებობის მიხედვით გამგის მოადგილეების, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით.

8. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგეს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა საფინანსო განყოფილებაზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, ადგენს გამგის მოადგილეების, საფინანსო განყოფილების სხვა ქვეგანყოფილების უფროსებისა და ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის დონეს ავტონომიური ოლქის საფინანსო ორგანოების მუშაობისთვის.

9. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე საფინანსო განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებსა და მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შეასრულონ ავტონომიური ოლქის საფინანსო ორგანოებმა, და ამოწმებს მათს შესრულებას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე თანამდებობებზე ნიშნავს და თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდებობიდან თავისუფლებს ავტონომიური ოლქის საფინანსო ორგანოების სხვა მუშაკებსაც (ხელმძღვანელი მუშაკების გარდა).

10. საფინანსო განყოფილების კოლეგია რეგულარულ სხდომებზე იხილავს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტის შედგენისა და ბიუჯეტის შესრულებისათვის მუშაობის ორგანიზაციის ძირითად საკითხებს და საფინანსო ორგანოების საქმიანობის სხვა საკითხებს, იხილავს ადგილობრივი საფინანსო ორგანოებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის საკითხებს, აგრეთვე შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების მასალებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებების პროექტებს, ისმენს ავტონომიური ოლქის საფინანსო ორგანოებისა და სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, განყოფილებებისა და საფინანსო განყოფილების სხვა ქვეგანყოფილებების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება გამგის ბრძანებებით. გამგესა და კოლეგიას შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში გამგე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, წარმოშობილ უთანხმოებას მოახსენებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ აღმასკომს.

11. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების აპარატისა და მისი საქვეუწყებო საფინანსო ორგანოების მუშაკთა სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების და სხვა ქვეგანაყოფების დებულებებს ამტკიცებს საფინანსო განყოფილების გამგე.

12. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას უფლება აქვს იქონიოს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი დასახელებით.

56 „სოფლის მეურნეობაში ტექნიკის გამოყენების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 7 აპრილის № 258 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ, გაითვალისწინეს რა ახლანდელ ეტაპზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საქსახსოფლტექნიკის საწარმოების ტექნიკურ საშუალებათა კონცენტრაციის აბაშური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდის დიდი ეფექტიანობა, მახარაძის რაიონის ხელმძღვანელობას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქსახსოფლტექნიკას მიზანშეუწონლად მიაჩნიათ მახარაძის რაიონში ცდის წესით ორგანიზებული სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სარაიონთაშორისო საწარმოს შემდგომი ფუნქციონირება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიზანშეუწონლად ჩაითვალოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საქსახსოფლტექნიკის საწარმოების ტექნიკურ საშუალებათა კონცენტრაციის ცდის შემდგომი განხორციელება მახარაძის რაიონში.

2. გაუქმდეს 1982 წლის 1 ნოემბრიდან მახარაძის რაიონში სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეურნეობათაშორისო საწარმო.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 7 აპრილის № 258 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ.**

ქ. თბილისი, 1982 წ., 13 აგვისტო, № 559

57 რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახალხო მეურნეობის სხვა ობიექტების გამგებლობიდან გაზის ქსელებისა და მათი ზედა ნაგებობების საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტისათვის გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში გაზის მეურნეობის განვითარებამ საჭირო პირობები შეუქმნა სასოფლო დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის ზრდის ტემპის გაძლიერებას.

რესპუბლიკაში აშენებულია 2.430 კილომეტრზე მეტი გაზის ქსელები, აქედან სოფლად — 170 კილომეტრი, გაზიფიცირებულია 1.157,4 ათასი ბინა, მათ შორის სოფლად — 510 ათასი; გაზიფიცირებულია აგრეთვე 30 სასოფლო-სამეურნეო ობიექტი.

საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ბალანსზე ირიცხება 300 კილომეტრამდე გაზის ქსელები, რომელთა ღირებულებაა 5 მილიონ მანეთამდე, და მათი ზედა ნაგებობანი (ღირებულება — 0,3 მილიონ მანეთზე მეტი).

თუ მთლიანად რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გაზის მეურნეობის ექსპლუატაცია, გაიზარდა მომხმარებელთა გაზმომარაგების საიმედოობა და მდგრადობა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში პრაქტიკულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ხორციელდება მუშაობა გაზის მეურნეობის ექსპლუატაციისათვის, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს უბედური შემთხვევები.

ასევე არადამაკმაყოფილებელია გარე გაზის ქსელებისა და მათი ზედა ნაგებობების ექსპლუატაცია რესპუბლიკის ცალკეულ სამინისტროებში, უწყებებსა და ორგანიზაციებში.

რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო ობიექტების შეუფერხებელი და მყარი გაზმომარაგების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— გადასცენ დადგენილი წესით ექსპლუატაციაში არსებული ამჟამად და შემდგომში გარე გაზის ქსელები (საწარმოო ტერიტორიებამდე) და მათი ზედა ნაგებობები უსასყიდლოდ ბალანსიდან ბალანსზე საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელწიფო კომიტეტის გაზის მეურნეობებს, ხოლო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ურჩიოს კოლმეურნეობებს გადასცენ, მოყოლებული 1983 წლიდან, კოლმეურნეთა საერთო კრების თანხმობით გაზის ქსელები და მათი ზედა ნაგებობები ბალანსიდან ბალანსზე საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის გაზის მეურნეობის საწარმოებს იმ პირობით, რომ აღნიშნულმა კომიტეტმა აანაზღაუროს კოლმეურნეობების მიერ გადასაცემი ქსელებისა და ნაგებობების მშენებლობისას გაწეული დანახარჯები;

— მისცენ საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის გაზის მეურნეობებს სარგებლობისათვის სამსახურებრივი და საცხოვრებელი ფართობი საბჭოთა მეურნეობებში მისი არსებობის კვალობაზე (კოლმეურნეობებში — საიჯარო საწყისებზე) საწარმოო-საექსპლუატაციო უბნების, სამსახურებისა და საწყობების შესაქმნელად;

— გაზის ქსელებისა და მათი ზედა ნაგებობების გადაცემისას ამავე დროს გადასცენ იქ, სადაც არსებობს, შესაბამისი ხელფასის ფონდი და პერსონალის რიცხოვნობა, საექსპლუატაციო საჭიროებისათვის განკუთვნილი დაგეგმილი ხარჯები და საამორტიზაციო ანარიცხები, აგრეთვე ავტომობილები და მექანიზმები.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეიმუშაონ და დაამტკიცონ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ბალანსიდან გაზის ქსელებისა და მათი ზედა ნაგებობების აღნიშნული კომიტეტის საწარმოთა ბალანსზე გადაცემის წესი.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებში, მოყოლებული 1983 წლიდან, საჭირო სახსრების გამოყოფა იმისათვის, რათა კოლმეურნეობებს აუნაზღაურდეთ დადგენილი წესით საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტისათვის მათ მიერ გადაცემული გაზის ქსელებისა და მათი ზედა ნაგებობების, აგრეთვე ავტომობილებისა და მექანიზმების ღირებულება.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გაითვალისწინონ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების გაზის მეურნეობათა სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების (მასალები, მოწყობილობა, ტრანსპორტი, მექანიზმები და სხვ.) გამოყოფა „სოფლის მეურნეობის“ დარგის ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ., 13 აგვისტო, № 577

58 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარებისათვის გათვალისწინებულ თანამდებობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ

„მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის შემოღების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 26 ივლისის № 531 დადგენილების, „საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმო-ორგანიზაციებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 26 ივლისის № 531 დადგენილების მოქმედების გავრცელების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 22 აგვისტოს დადგენილების, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ნოემბრის № 695 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, და დამტკიცდეს ამ სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარებისათვის გათვალისწინებულ თანამდებობათა ნუსხა, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ ქმედითი კონტროლი გაუწიოს სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების მუშაკთა ატესტაციის მიმდინარეობას და უზრუნველყოს მისი სწორად ჩატარება დაწესებულ ვადებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ., 31 აგვისტო, № 611

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 31 აგვისტოს № 611 დადგენილების დანართი

ნუსხა

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარებისათვის გათვალისწინებული თანამდებობებისა

1. საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებშიც ტარდება ატესტაცია: საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ცენტრალური აპარატი; აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა ცენტრალური აპარატები და ამ სამინისტროთა საქვეუწყებო შესაბამისი საწარმოები და ორგანიზაციები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს აპარატი და ამ სამმართველოს საქვეუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები; რესპუბლიკური სამმართველოს „საქრადიოტელემომსახურების“ აპარატი და მისი საქვეუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები; რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქყოფრემტექნიკის“ აპარატი და მისი საქვეუწყებო საწარმოები და ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციები; საწესჩვეულებო მომსახურების რესპუბლიკური სამმართველოს აპარატი და მისი საქვეუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები; „ყოფრემ-მშენის“ № 1 და 2 ტრესტების აპარატები და მათი საქვეუწყებო საწარმოები ღა ორგანიზაციები; ტრესტ „თბილყოფრემმშენის“ აპარატი და მისი საქვეუწ-ყებო საწარმოები და ორგანიზაციები; მოდელების რესპუბლიკური სახლი; „საქ-ყოფსპეცრემმონტაჟის“ სამმართველოს აპარატი და მისი საქვეუწყებო საწარ-მოები და ორგანიზაციები, დამხმარე საწარმოთა რესპუბლიკური კომბინატი; რესპუბლიკური სასწავლო-საწარმოო კომბინატი და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო „საქმთავარყოფმომარაგება“; რესპუბლი-კური სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს აპარატი და მისი საქვეუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები; საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა საქა-ლაქო და რაიონული სამმართველოს, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბი-ნატის აპარატები და სხვა მათი საქვეუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები; საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრალური სახლი; ტექზედამხედველობის ჯგუფი.

2. თანამდებობანი

საწარმო-ორგანიზაციების მმართველები, გენერალური დირექტორები, დირექტორები, უფროსები;

მმართველთა, დირექტორთა, უფროსთა მოადგილეები (ყველა საკითხში).

განყოფილებებისა და სამმართველოების, საწარმოო განყოფილებათა სექ-ტორების, უბნების, სახელოსნოების, კანტორების, საამქროების, ავტოსატრანს-პორტო საწარმოების, ავტოგარაჟების, ფილიალების უფროსები (უფროსთა მოადგილეები).

ატელიეების სახელოსნოების, სალონების, აბანოების, სამრეცხაოების, ქიმწმენდის პუნქტების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლების, კემპინ-გების, მეურნეობების, გამქირავებელი პუნქტების, კეთილმომსახურების ბიუ-როების, ფოტოსტუდიების გამგეები (ბრიგადირები გამგეთა უფლებებით), გამგეთა მოადგილეები.

მთავარი ინჟინრები (უფროსი ინჟინრები მთავარ ინჟინერთა უფლებებით), მთავარ ინჟინერთა მოადგილეები, მთავარი (უფროსი) არქიტექტორები, მთა-ვარი (უფროსი) მექანიკოსები, მექანიკოსები, წამყვანი (მთავარი) კონსტრუქ-ტორები, კონტრუქტორები, უფროსი ტექნოლოგები, ტექნოლოგები, ენერგე-ტიკოსები, წამყვანი მთვარი (უფროსი) ეკონომისტები, ეკონომისტები, მთავარი (უფროსი) ბუღალტრები, ბუღალტრები, მთავარ ბუღალტერთა მოადგილეები, უფროსი საქონელმცოდნეები, საქონელმცოდნეები, უფროსი ბუღალტერ-რევი-ზორები, ბუღალტერ-რევიზორები, რევიზორები, ბუღალტერ-მეთოდისტები, ბუღალტერ-ინვენტარიზატორები, უფროსი იურისკონსულტები, იურისკონ-სულტები, უფროსი ინსპექტორები, კადრების ინსპექტორები.

ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მთავარი (უფროსი) სპეციალისტები, ყველა სპეციალობის სპეციალისტები, წამყვანი (უფროსი) ინსპექტორები, ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალობის ინსპექტორები, უფროსი მნორმავები (მნორმავები), უფროსი ფინანსისტები (ფინანსისტები), უფროსი ტექნიკოსები, ყველა სპეციალობის ტექნიკოსები, რადიოტექნიკოსები, ავტომექანიკოსები, უფროსი ლაბორანტები, ლაბორანტები, უფროსი ოსტატები (ოსტატები), საწარმოო სწავლების უფროსი ოსტატები (ოსტატები), უფროსი სამუშაოთა მწარმოებლები (სამუშაოთა მწარმოებლები), ენტომოლოგები, აგრონომები.

ბაზების, საწყობების, არქივების, ლაბორატორიების, კანცელარიების გამგეები, კოლეგიების მდივნები, ტექორგანიზატორები, უფროსი მხატვრები, მხატვრები, უფროსი მხატვარ-მემოდელეები, მხატვარ-მემოდელეები, მემოდელე-კონსტრუქტორები, ადმინისტრატორები, არქივარიუსები, ტექნიკური ლიტერატურის მთარგმნელები, პირის გადამღებები, უფროსი მეთოდისტები (მეთოდისტები), უფროსი დისპეტჩერები, დისპეტჩერები.

სამშენებლო, სარემონტო და სხვა საწარმოო და დამხმარე ბრიგადების ბრიგადირები.

შენიშვნა: საწარმო-ორგანიზაციის იმ ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ატესტაციას, რომლებიც მუშაობენ უფროსთა, დირექტორთა, მმართველთა, გამგეთა, მთავარ სპეციალისტთა, (მთავარ სპეციალისტთა უფლებით უფროს სპეციალისტთა), სხვა მუშაკთა თანამდებობებზე, რომლებსაც ნიშნავენ და ათავისუფლებენ ზემდგომი ორგანოები, ატარებენ ზემდგომი ორგანოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4, 1982 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XII-82 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 2,5 სააღრიცხვო თაბახი 2,5

შეკვეთა № 1470 უე 05927 ტირაჟი 1580

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.

б 10/57.

ეროვნული
ბიბლიოთეკა